# პრივატიზების მაცნე

№ 4-5

მარტი-აპრილი, 1996 წელი

PRIVATIZATION HERALD

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი | გამოდის 1993 წლიდან | ფასი 50 თეთრი


## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

**№07 1995 წლის 5 დეკემბერი**

**სააქციო საზოგადოება "სპორტის სასახლის" აქციათა პაკეტის განაწილების შესახებ**

ქართული სპორტის განვითარების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით:

1.სპორტის სასახლის შრომით კოლექტივს მიეცეს სააქციო საზოგადოება "სპორტის სასახლის" უფასო და შეღავათიანი აქციები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2.სააქციო საზოგადოების "სპორტის სასახლის" აქციების საკონტროლო პაკეტი (51 პროცენტი) საპრივატიზაციო ბარათებზე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიეყიდოს სააქციო საზოგადოების მიერ შექმნილ ამხანაგობას, იმ პირობით, რომ იგი უზრუნველყოფს სახელმწიფოს შეკვეთების შესრულებას, რესპუბლიკური, საქალაქო და საერთაშორისო სპორტული და სხვა სანახაობითი ღონისძიებების სათანადო დონეზე მოწყობას.

3.აქციათა პაკეტის 20 პროცენტი დარჩეს თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში და თბილისის მერიის წარმომადგენელი შეყვანილ იქნეს სააქციო საზოგადოების მეთვალყურეთა საბჭოში.

4.სააქციო საზოგადოებას ეკრძალება მის კუთვნილებაში არსებული ქონების გასხვისება თბილისის მერიის თანხმობის გარეშე.

ე. შევარდნაძე

## ნომერში


შეტანილია ცვლილებები გვ. 1

სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის წესი გვ. 1-2

1996 წელს პრივატიზებას დაუქვემდებარებელი სახელმწიფო საწარმოთა ნუსხა გვ. 2

ტარდება საბარათო აუქციონები გვ. 6

ბანკების როლი რესტრუქტურიზაციაში გვ. 10-11

განცხადებები გვ. 12


**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში**

## დამტკიცდა აუქციონით პრივატიზების წესი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბ-ნ ავთანდილ სილაგაძის 1996 წლის 25 თებერვლის ბრძანებით სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის მოწესრიგების მიზნით დამტკიცდა სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის წესი, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის პირველ და მეორე გვერდებზე იბეჭდება.

# სახელმწიფო ქონების აუქციონით პრივატიზების წესი

### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე წესი შემუშავებულია "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 29 მაისის №612 დადგენილებით დამტკიცებულ "სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის შესახებ" დებულების შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის ძირითად წესებს ( შემდგომში "აუქციონი") ასევე გამყიდველების, მყიდველებისა და აუქციონის სხვა მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

1.2. "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ"კანონის შესაბამისად აუქციონით გაყიდვის გადაწყვეტილებას მიიღებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ( შემდგომში "სამინისტრო") ან მისი ტერიტორიული ორგანო.

1.3. აუქციონზე გასატან სახელმწიფო ქონებას შეადგენს საწარმოები (გაერთიანებები) , მათი ქვედანაყოფები, საწარმოო და არასაწარმოო ფასეულობათა ერთიანი ქონებრივი კომპლექსები. აგრეთვე სააქციო საზოგადოებაში ( სხვა საზოგადოებაში) – სახელმწიფოს კუთვნილი აქციები (წილი, პაი) .

1.4. აუქციონზე შეიძლება გაიყიდოს სახელმწიფო ქონების ცალკეული სახეობებიც, რომლებიც არ ქმნიან ერთიან ქონებრივ კომპლექსს. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შესაბამისი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოს, მისი ქვედანაყოფების ან ფილიალების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია – სამინისტროს ან მისი ორგანოების გადაწყვეტილებით.

1.5. აუქციონზე სახელმწიფო ქონების გამყიდველი არის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო. მათ შეუძლიათ შეასრულონ გამყიდველის ფუნქციები უშუალოდ, ან შუამავლის საშუალებით, რომელსაც მინიჭებული ექნება გამყიდველის უფლებამოსილება და იმოქმედებს პრივატიზაციის შესახებ რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

1.6. სახელმწიფო საკუთრების საწარმოების, სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალში წილის (პაის, აქციების) მყიდველები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი ან მოქალაქეთა გაერთიანებები, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ის არასახელმწიფო იურიდიული პირები, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების და მმართველობით ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების, წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს. სხვა შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება.

1.7. მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებმაც წარმოადგინეს განაცხადები აუქციონში მონაწილეობაზე, არ ექვემდებარება გამოქვეყნებას აუქციონის დაწყების მომენტამდე.

### 2. აუქციონის გამოცხადება

2.1. აუქციონის ორგანიზატორი შეიძლება იყოს სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო ან მათ მიერ უფლებამოსილი წარმომადგენელი (შუამავალი).

2.2. იმ შემთხვევაში, როცა გამყიდველი აუქციონის ორგანიზატორის ფუნქციებს გადასცემს შუამავალს, მათ შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

– სახელმწიფო საკუთრების ობიექტის ან ქონების ცალკეული სახეობის საწყისი ფასი.

– აუქციონის ჩატარების ვადები.

– აუქციონზე გასაყიდი ობიექტების შესახებ შუამავლისათვის წარმოდგენილი აუცილებელი ინფორმაციის ნუსხა და აუქციონის მონაწილეთათვის ამ ინფორმაციის მიწოდების წესი.

– შუამავლისათვის ავანსისა და საკომისიო ანაზღაურების ოდენობა და მისი გაცემის წესი.

– ურთიერთვალდებულებანი და მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

– სხვა პირობები გამყიდველის შეხედულებისამებრ.

2.3. ყოველი აუქციონის დაწყებამდე, არაუგვიანეს ერთი თვისა, აუქციონის შუამავალი ( შემდგომში "ორგანიზატორი"), გამყიდველისაგან ღებულობს და აქვეყნებს ინფორმაციას აუქციონის შესახებ, უზრუნველყოფს მის რეკლამას, ამზადებს დარბაზს აუქციონისათვის და ზრუნავს იმ პერსონალის მომზადებისათვის, რომლებიც მოემსახურებიან აუქციონს.

2.4. საინფორმაციო ცნობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

– აუქციონის ჩატარების თარიღს:

– გასაყიდი ქონების საწყისი ღირებულება:

– აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღების ვადებსა და ადგილს;

– ბეს მოცულობას და შეტანის წესს;

– გამყიდველისა და ორგანიზატორის საკონტაქტო ტელეფონის ნომრებს და მისამართებს:

აგრეთვე:

ა) საწარმოს გაყიდვის შემთხვევაში:

– საწარმოს დასახელება და იურიდიული მისამართი:

– დაკავებული მიწის ფართობი:

– საწარმოს პროფილი:

– ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება:

– სახელმწიფოს წილი საწესდებო კაპიტალში:

ბ) აქციათა პაკეტის გაყიდვის შემთხვევაში:

– სააქციო საზოგადოების დასახელება და იურიდიული მისამართი:

– გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობა:

– ერთი აქციის ნომინალური ღირებულება:

– აუქციონზე გასაყიდად გატანილი აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება:

დამატებითი ინფორმაციის ნუსხასა და მიწოდების ფორმას განსაზღვრავს გამყიდველი.

2.5. ორგანიზატორმა უნდა მოამზადოს კადრები აუქციონის ჩასატარებლად, მოიწვიოს ან მოამზადოს აუქციონისტი, რომელმაც უნდა წარმართოს ვაჭრობა.

ორგანიზატორი პასუხისმგებელია აუქციონის სწორად და ნორმალურად ჩატარებაზე.

2.6. ორგანიზატორი ქმნის სააუქციონო კომისიას 3-5 წევრისაგან, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს გამყიდველის ერთი წარმომადგენელი მაინც.

### 3. აუქციონში მონაწილეობის პირობები

3.1. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება იწყება აუქციონის გამოცხადების დღიდან და წყდება 24 საათით ადრე აუქციონის დაწყებამდე. განაცხადები მიიღება იმავე შენობაში სადაც განსაზღვრულია აუქციონის ჩატარება.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა (შემდგომში "მყიდველი), აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს:

– შევსებული განაცხადის ფორმა:

– ბეს შეტანის ცნობა:

– სახელმწიფოში ბაჟის დადგენილი ოდენობით გადახდის ქვითარი:

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობა:

– მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით:

გაიაროს წინასწარი რეგისტრაცია და მიიღოს "მონაწილის ბილეთი".

განაცხადის ფორმები, ორგანიზატორის მიერ გაიცემა ყველა მყიდველზე. განაცხადის ფორმას თან ერთვის იმ იურიდიული დოკუმენტების ნიმუშები, რომლებზეც ხელი უნდა მოაწეროს მონაწილემ.

განაცხადი შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე და იმ ობიექტის დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას.

3.2. წინასწარი რეგისტრაციის გასვლამდე, მყიდველმა გამყიდველის მომსახურე ბანკში უნდა შეიტანოს ბე, ნაღდად ან გადარიცხვით, სახელმწიფო საკუთრების ობიექტის ან ქონების ცალკეული სახეობების საწყისი ფასის არანაკლებ ათი პროცენტის ოდენობით.

იმ მყიდველმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა რამოდენიმე სახელმწიფო საკუთრების ობიექტის ან ქონების ცალკეული სახეობების ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს ბე ცალცალკე ყველა საწარმოსათვის. ბეს გადახდის დამადასტურებლად მას მიეცემა საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა.

3.3. ფიზიკური ან იურიდიული პირის ნდობით აღჭურვილმა პირმა (შემდგომში "წარმომადგენელი"), დამატებით უნდა წარმოადგინოს მინდობილობა, რომ მას აქვს უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ყველა იურიდიულ ხელშეკრულებას აუქციონთან დაკავშირებით. იურიდიულ ან ფიზიკურ პირს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი.

3.4. იურიდიული პირის წარმომადგენელმა, როგორც წესი, ზემოთაღნიშნულ დოკუმენტებს უნდა დაურთოს დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ საწესდებო კაპიტალში, იმ ორგანიზაციო-


(დასასრული მე-2 გვერდზე)


**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში**

## შეტანილია ცვლილებები

***სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიამ 1996 წლის 16 თებერვალს მიიღო დადგენილება №36, №37 სპეციალიზირებულ და №9, №10 საბარათო აუქციონებზე გასატან სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების ნუსხების და გამოცხადებულ აუქციონებში ცვლილებების დამტკიცების შესახებ. აქვე გთავაზობთ დადგენილების ტექსტს.***

"მასობრივი პრივატიზაციის პროცესების გეგმაზომიერი განვითარების, საპრივატიზაციო ბარათების სათანადო უზრუნველყოფის მიზნით, მსოფლიო ბანკის მასობრივი პრივატიზაციის პროექტის კონსულტაციების გათვალისწინებით, ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგია ადგენს:

1. დამტკიცდეს იმ სააქციო საზოგადოებათა თანდართული ჩამონათვალი, რომელთა აქციების პრივატიზება გათვალისწინებულია 36, 37 სპეციალიზირებულ საბარათო და 9, 10 საბარათო აუქციონებზე დადგენილი წესით ( დანართი №1, №2, №3 და №4).

2. საწესდებო კაპიტალის ცვლილებასთან (გაზრდასთან) და ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ცვლილებები №8 საბარათო და №33 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონების ნუსხებში:

2.1. სააქციო საზოგადოება "სანაპირო-10"-ს (№701) საწესდებო კაპიტალი ნაცვლად №8 საბართო აუქციონის ნუსხაში მითითებული 77829-სა უნდა იყოს 139573, აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად 10000-სა უნდა იყოს 55865, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 12,08-სა უნდა იყოს 40,0, ფასი აშშ დოლარებში ნაცვლად 19005,8-სა უნდა იყოს 106176, ხოლო საწყისი ფასი საპრივატიზებო ბარათებში ნაცვლად 2716-სა უნდა იყოს 10618:

2.2. სააქციო საზოგადოება "თრიალეთის რძე"-ს (№559) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №33 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის ნუსხაში მითითებული 22000-სა უნდა იყოს 28500, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 36,31-სა უნდა იყოს 47,04, ხოლო ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში ნაცვლად 32163,74-სა უნდა იყოს 41666,67.

3. დაევალოს რესპუბლიკის საბარათო და განაცხადების გადამამუშავებელ სააუქციონო ცენტრს ( ე. ჯულელი):

3.1. არაუგვიანეს 1996 წლის 18 თებერვლამდე უზრუნველყოს ამ დადგენილებაზე თანდართული ნუსხების და ცვლილებების შესახებ ინფორმაციის რესპუბლიკურ გაზეთში გამოქვეყნება და განაცხადების მიმღებ ყველა პუნქტისათვის დროული მიწოდება:

3.2. განაცხადების მიმღები პუნქტების მეშვეობით უზრუნველყოს მათ ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოებების და ქონების მართვის ტერიტორიალური ორგანოების აუქციონების და ცვლილებების შესახებ ინფორმირება.

3.3. უზრუნველყოს აუქციონების დადგენილ ვადებში ჩატარება არსებული წესების შესაბამისად.

# სახელმწიფო ქონების აუქციონით პრივატიზების წესი

დასასრული

ისა, რომელსაც იგი წარმოადგენს, სახელმწიფოს, რელიგიური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წილი არ აღემატება 25 პროცენტს (სადამფუძნებლო დოკუმენტაცია).

3.5. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მყიდველი იღებს "მონაწილის ბილეთს" (რომლის ფასს ადგენს "ორგანიზატორი"), რის შედეგადაც იგი ღებულობს მონაწილის სტატუსს.

3.6. აუქციონის რეგისტრატორი "აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში" აკეთებს შესაბამის ჩანაწერს "მონაწილეზე", იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტებს და გაფორმებულ ბილეთს გადასცემს მონაწილეს პირადობის დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად.

## 4. აუქციონი

4.1. მონაწილე, აუქციონის დაწყებამდე 15 წუთით ადრე შედის დარბაზში, წარუდგენს ბილეთს აუქციონის რეგისტრატორს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

4.2. აუქციონზე დასწრების მსურველები იღებენ აუქციონზე შესასვლელ ბილეთს (რომლის ფასსაც ადგენს ორგანიზატორი) და შედიან დარბაზში.

4.3. რეგისტრატორი აცხადებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობას, რითაც აზუსტებს, რამდენი მონაწილე ესწრება თითოეულ ლოტს.

4.4. აუქციონს აწარმოებს მეაუქციონე, რომელსაც ნიშნავს ორგანიზატორი.

4.5. თვითეულ ობიექტზე, ვაჭრობის დაწყებისას, მეაუქციონე აცხადებს სახელმწიფო საწარმოს დასახელებას, შემდგომ საწყის ფასს, ბიჯს (რომლის სიდიდესაც ადგენს გამყიდველი კონკრეტული ქონებისათვის) და სთხოვს მონაწილეებს ჩაერთონ ვაჭრობაში. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი ფასის გამოცხადების მომენტი.

ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია აუქციონში მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

4.6. თუ აუქციონის მსვლელობისას, გასაყიდი ქონების საწყისი ფასის გამოცხადებიდან სამი წუთის განმავლობაში არ გამოჩნდება შესყიდვის მსურველი საჯარო ვაჭრობა წყდება.

4.7. მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის ნომერს ისე რომ თვალსაჩინო იყოს მეაუქციონისათვის. თუ კი დასახელდება მომდევნო ფასი, მეაუქციონე აფიქსირებს მას და სთხოვს მონაწილეებს გააგრძელონ ვაჭრობა. ასე გრძელდება ვაჭრობა, სანამ რომელიმე მონაწილე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ კურსს. ამის შემდეგ ობიექტი ითვლება გაყიდულად იმ მონაწილეზე ვინც შესთავაზა აუქციონს ყველაზე მაღალი ფასი.

4.8. ყოველი საწარმოს სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ, ორგანიზატორი ადგენს ოქმს, რომელშიც ასახული უნდა იყოს ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. თითოეული ოქმი ინომრება ქრონოლოგიური მიმდევრობით. ხელს აწერს მყიდველი, მეაუქციონე, მდივანი და კომისიის თავმჯდომარე.

4.9. აუქციონში გამარჯვებულმა საჯარო ვაჭრობის დამთავრებიდან ათი წუთის განმავლობაში უნდა წარუდგინოს აუქციონის მდივანს "მონაწილის ბილეთი" და ხელი მოაწეროს აუქციონის შედეგების ოქმს.

4.10. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ პირს ერთმევა აუქციონში შემდომი მონაწილეობის უფლება და ბე არ უბრუნდება.

4.11. იმ შემთხვევაში თუ აუქციონი არ შედგა, იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, ესწრებოდენ აუქციონს და არ მიიღეს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა, მაშინ დგება არშემდგარი აუქციონის ოქმი და მონაწილეებს შეტანილი ბე არ უბრუნდებათ.

4.12. თუ მონაწილე, არ გამოცხადდა აუქციონზე, მისთვის ბეს დაბრუნების საკითხს სწყვეტს გამყიდველი.

4.13. ყველა სადაო საკითხი და გაურკვევლობა გადაწყდება კომისიის მიერ, აუქციონის მიმდინარეობის დროს. აუქციონის დამთავრების შემდეგ, არანაირი პრეტენზია არ განიხილება.

## 5. აუქციონის შედეგები

5.1. მყიდველსა და აუქციონის ორგანიზატორს შორის გაფორმებული ოქმები და აუქციონის შედეგების სრული დოკუმენტაცია გადაეცემა გამყიდველს დასამტკიცებლად.

5.2. დამტკიცებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში აუქციონის შედეგები ორგანიზატორმა უნდა გამოაქვეყნოს პრესაში. გამოქვეყნებულ შედეგებში მოკლედ უნდა იყოს ასახული მონაცემები მყიდველის შესახებ, ნაყიდი სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასი და სხვა ინფორმაცია აუქციონის ორგანიზატორის შეხედულებისამებრ.

5.3. აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ანგარიშსწორების წესი

6.1. აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერის მომენტიდან სამი დღის ვადაში მყიდველმა, ოქმში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში უნდა შეიტანოს ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში, როცა მყიდველის მიერ გადახდილია ობიექტის ღირებულების სულ ცოტა 50 პროცენტი, გადახდის ვადა ხანგრძლივდება კიდევ 30 დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან აღნიშნულ ვადებში არ შეიტანს საპრივატიზაციო ბარათების საჭირო რაოდენობას, მას ჩამოერთმევა საკუთრების უფლება შეძენილ ობიექტზე, ბე არ დაუბრუნდება და იგი დაჯარიმდება საბოლოო გასაყიდი ფასის ხუთი პროცენტის ოდენობით.

6.2. მყიდველს ბე ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

6.3. აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს, ორგანიზატორის შეტყობინების საფუძველზე, ბე უბრუნდება 10 კალენდარული დღის განმავლობაში, იმავე საბანკო დაწესებულებაში, ბეს შეტანის ქვითრის წარდგენის შემდეგ.

6.4. საბანკო დაწესებულება, მყიდველთა მიერ შეტანილ ბეს აბრუნებს აუქციონის ორგანიზატორის დავალების საფუძველზე.

6.5. აუქციონზე გადახდის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა.

## 7. აუქციონზე გაყიდვიდან ამონაგების განაწილება

7.1. აუქციონზე სახელმწიფო ქონების მყიდველებისაგან შემოსული თანხისა და ბილეთების რეალიზაციით მიღებული სახსრებიდან იქმნება აუქციონის ამონაგები.

7.2. აუქციონის ორგანიზაციისა და ჩატარების ხარჯები ანაზღაურდება გამყიდველის, როგორც აუქციონის უშუალო ორგანიზატორის მიერ მიღებული ამონაგებიდან. იმ შემთხვევაში, როცა აუქციონის ორგანიზატორია შუამავალი, გამყიდველი ღებულობს წმინდა შემოსავალს, რაც განისაზღვრება როგორც სხვაობა ამონაგებსა და შუამავლის ანაზღაურებას შორის. შუამავალს ანაზღაურება, როგორც წესი, ეძლევა საკომისიო საფუძველზე.

7.3. ამონაგები, მიღებული სახელმწიფო საკუთრების ობიექტებისა და ქონების ცალკეული სახეობების გაყიდვის შედეგად, ჩაირიცხება გამყიდველის სპეციალურ ანგარიშზე და განაწილდება დადგენილი წესით.

## 8. საკუთრების უფლებების გადასვლა მყიდველზე

8.1. გამარჯვებულ მონაწილეს გადაეცემა აუქციონის შედეგების ოქმის ერთი პირი, რომლის საფუძველზეც, შედეგების დამტკიცების შემდეგ, გამყიდველი გასცემს სათანადო ცნობას შესაბამისი რაოდენობის აქციების საკუთრების შესახებ.

8.2. გამარჯვებული მონაწილის მიერ, ნაყიდი სახელმწიფო ქონების საფასურის სრულად გადახდის შემდეგ, გამყიდველი შესაბამის სააქციო საზოგადოებებს აძლევს დავალებას აქციონერთა რეესტრში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

8.3. სახელმწიფო საკუთრების ობიექტის გაყიდვის შემთხვევაში გამარჯვებულ მონაწილეზე საბოლოო თანხის სრულად გადახდის შემდეგ, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა გამყიდველის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

---

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

## 1996 წლის პრივატიზებას დაუქვემდებარებელი სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

"საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამაში 1996 წლისათვის ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 2 თებერვლის №143 ბრძანებულებისა და "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს № 829 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბ-ნ ავთანდილ სილაგაძის 1996 წლის 29 თებერვლის ბრძანებით დამტკიცდეს 1996 წლის პრივატიზებას დაუქვემდებარებელი სახელმწიფო საწარმოთა დართული ნუსხა.

## 1996 წელს პრივატიზებას დაუქვემდებარებელი სახელმწიფო საწარმოთა ნუსხა

| ობიექტის დასახელება | სამინისტრო, უწყება |
|---|---|
| **ქ. თბილისი** | |
| 1. მეტროპოლიტენი | ქ. თბილისის მერია |
| 2. რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება "საქსოფლწყალმომარაგება" | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| 3. სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება "მიონი" | მრეწველობის დეპარტამენტი |
| 4. საწარმოო გაერთიანება "ორიონი" | "–" |
| 5. საწარმოო გაერთიანება "ორბი" | "–" |
| 6. საავიაციო საწარმოო გაერთიანება | "–" |
| 7. გამთიშველების ქარხანა | "–" |
| 8. ავიაკომპანია "აისი" | საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი |
| 9. ავტოკოლონები – № 2652, № 2653, № 2654, № 2655, № 2657, № 2658, № 2659, № 2660, № 2661, № 2664, № 2663, № 2665, № 2666, № 2668, № 2669, № 2670, № 2677, № 2679, № 2681, | საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი |
| 10. კავშირგაბმულობის სამინისტროს სტრატეგიული დანიშნულების საწარმოები და ორგანიზაციები | კავშირგაბმულობის სამინისტრო |
| 11. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების საწარმოები და ორგანიზაციები | შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| 12. საქართველოს აეროგეოდეზიური საწარმო | გეოდეზიის და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო |
| 13. კარტოგრაფიული ფაბრიკა | "–" |
| **ახმეტის რაიონი** | |
| 14. სოფელ ქვემო ალვანის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **გარდაბნის რაიონი** | |
| 15. სოფელ სამგორის მეკვერცხული მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორი | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **გორის რაიონი** | |
| 16. სოფელ ნიქოზის მეთესლეობის სახელმწიფო მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| 17. სოფელ ნადარბაზევის "–" | "–" |
| 18. სოფელ ხურვალეთის "–" | "–" |
| 19. სოფელ ხვითის "–" | "–" |
| 20. სოფელ ყელქცეულის "–" | "–" |
| 21. სოფელ ქიწნისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა | "–" |
| 22. სოფელ ქვემის "–" | "–" |
| **გურჯაანის რაიონი** | |
| 23. სოფელ კოლაგის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **დმანისის რაიონი** | |
| 24. სოფელ განახლების მეთესლეობის სახელმწიფო მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| 25. მეხორცული ქათმის სანაშენე რეპროდუქტორი | "–" |
| **დუშეთის რაიონი** | |
| 26. მეფუტკრეობის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **ზესტაფონის რაიონი** | |
| 27. სოფელ სვირის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **თელავის რაიონი** | |
| 28. სოფელ გულგულის მეთესლეობის სახელმწიფო მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| 29. მეკვერცხული მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორი | "–" |
| 30. მევენახეობა-მეღვინეობის კომერციული ფირმა "წინანდალი" | "–" |
| **თერჯოლის რაიონი** | |
| 31. იმერული ცხვრის სახელმწიფო ჯიშთსაშენი | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **ლანჩხუთის რაიონი** | |
| 32. მეგრული წითელი საქონლის სახელმწიფო ჯიშთსაშენი | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **მცხეთის რაიონი** | |
| 33. მანქანათა საგამოცდო სადგური | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| 34. მეხორცული ქათმის სანაშენე რეპროდუქტორი | "–" |
| **სამტრედიის რაიონი** | |
| 35. სოფელ ბაშის მეთესლეობის სახელმწიფო მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **სენაკის რაიონი** | |
| 36. სოფელ ძველი სენაკის მეღორეობის სახელმწიფო სანაშენე მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **ტყიბულის რაიონი** | |
| 37. დეპარტამენტ "საქნახშირი"-ს მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები | დეპარტამენტი "საქნახშირი" |
| **ქარელის რაიონი** | |
| 38. სოფელ დირბის მეთესლეობის სახელმწიფო მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| 39. სოფელ მოხისის "–" | "–" |
| 40. სოფელ ბებნისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა | "–" |
| **ჩხოროწყუს რაიონი** | |
| 41. მეგრული თხის სახელმწიფო ჯიშთსაშენი | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| 42. სოფელ მუხურის მეფუტკრეობის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობა | "–" |
| 43. სოფელ ნაკიანის მეთხეობის საჯიშე მეურნეობა | "–" |
| **წალკის რაიონი** | |
| 44. სოფელ ბეშთაშენის მეთესლეობის ექსპერიმენტული მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| 45. სოფელ ავრანლოს "–" | "–" |
| **ყვარლის რაიონი** | |
| 46. კახური ღორის საჯიშე მეურნეობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **ხაშურის რაიონი** | |
| 47. ხაშურ-ბათუმის მაგისტრალური ნავთობპროდუქტსადენის სამმართველო | სახელმწიფო კონცერნი "საქნავთობპროდუქტი" |

# ინფორმაცია

## ანდრეი კოზირევი: რუსეთი ცდილობს შევიდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

რუსეთი მიისწრაფვის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად, განაცხადა ანდრეი კოზირევმა. მან აღნიშნა რუსეთის ფედერაციის ინტეგრაციის პროცესის "გარდაუვალობა", რომელიც უკვე შევიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში და საქმიანი თანამშრომლობის ძირითად მსოფლიო სტრუქტურებში.

"ამ გზაზე ჩვენ იმედი გვაქვს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მხარდაჭერისა", — თქვა რ.ფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა მბრრ-ს პრეზიდენტთან ჯეიმს ვულდენსონთან შეხვედრისას. მისი აზრით, რუსეთი უნდა აღიქვან არამარტო როგორც იმ ქვეყნად, რომელსაც დახმარება ჭირდება, არამედ იმავე დროს ისეთ ქვეყნად, რომელსაც თვითონაც შეუძლია სხვების დახმარება, განსაკუთრებით კი — მომავალში. საქმიანი პარტნიორების მხრივ კი თანადგომას მან "ხვალინდელ დღეში ინვესტიცია" უწოდა.

მბრრ-ის პრეზიდენტი მოსკოვის შემდეგ ეწვია ნიჟნი ნოვგოროდსა და ვლადიმირს და აღნიშნა, რომ სამდღიანი ვიზიტის დროს შეძლო გაცნობოდა მრეწველობაში რეფორმების განვითარებას, კონვერსიის განხორციელებას. "ჩვენი ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ აუცილებელია ამ პროცესების თანადგომა", — თქვა მან.

## საერთაშორისო კონფერენცია: სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობები რუსეთში და დსთ-ში

რუსეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და უზბეკისტანის ნავთობგაზის კომპლექსთა ხელმძღვანელები მონაწილეობას მიიღებენ ოთხდღიან საერთაშორისო კონფერენციაში: "ბუნებრივი გაზი: სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობები რუსეთში და დსთ-ში, რომელიც ლონდონში ტარდება. კონფერენციის მიმდინარეობის დროს დაგეგმილია განიხილონ ის საკითხები, რომლებიც უკავშირდება რუსეთში და ცენტრალურ აზიაში ბუნებრივი გაზის წარმოებას, შეეხონ გადასახადების სისტემას, კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არეგულირებენ რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების ენერგეტიკული სექტორის მუშაობას.

კონფერენციის მონაწილეები განიხილავენ დსთ-ს ქვეყნებს შიგნით ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და ტრანზიტის პრობლემებს, აგრეთვე რაო "გაზპრომის" აქციების ნაწილის უცხოელი ინვესტორებისთვის მიყიდვის შესაძლებლობის საკითხებს. ამის გარდა კონფერენციის დღის წესრიგშია "გაზპრომის" სტრატეგია, საინვესტიციო პრიორიტეტები და სავაჭრო პერსპექტივები აღმოსავლეთი და დასავლეთი ევროპის ბაზრებზე.

რუსეთის დელეგაციას უხელმძღვანელებს "გაზპრომის" გამგეობის თავმჯდომარე რემ ვიახირევი, რომელიც კონფერენციის გახსნაზე გამოვა მოხსენებით რუსეთის ბუნებრივი გაზის პერსპექტიული როლის შესახებ მსოფლიო და სამამულო ეკონომიკის განვითარებაში.

## ანატოლი შატალოვი: რუსეთის ენერგეტიკას ესაჭიროება ყოველწლიური 8 მილიარდი აშშ დოლარის თანხის კრედიტი

რუსეთის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსს ესაჭიროება ყოველწლიური საკრედიტო ხაზი 8 მილიარდი ამერიკული დოლარის ოდენობით. ეს მოსაზრება გაუზიარა იტარ-ტასის კორესპონდენტს რუსეთის ფედერაციის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ანატოლი შატალოვმა ლონდონში, სადაც მან მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში "ბუნებრივი გაზი: რუსეთში და დსთ-ს ქვეყნებში ვაჭრობისა და კაპიტალდაბანდებათა შესაძლებლობები".

მისი სიტყვებით, ამჟამად რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპის ბანკთან ხელმოწერილია შეთანხმებები რუსეთისათვის მილიარდნახევარი დოლარის ოდენობის სესხის მიცემის შესახებ, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკთან კი 1,2 მილიარდ დოლარზე. სპეციალისტები განიხილავენ კიდევ რამდენიმე პროექტს 3 მილიარდი დოლარის ოდენობით. აშშ ექსპორტ-იმპორტის ბანკმა მოსკოვს გამოუყო საკრედიტო ხაზი 729 მილიონი დოლარის ოდენობით და ახლა განიხილავს სხვა 12 პროექტის მიხედვით მისთვის მთლიანად 2,7 მილიარდი დოლარის სესხის მიცემის შესაძლებლობას.

ამჟამად, აღნიშნა რუსეთის ფედერაციის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ, სრული სვლით მიმდინარეობს მუშაობა პროგრამაზე სახალინის ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მსხვილი საბადოს ათვისების შესახებ.

პროექტს "სახალინ-1" სპეციალისტები აფასებენ 12 მილიარდ დოლარად, მასში რუსეთის წილი შეადგენს 40 პროცენტს, მაშინ როცა უცხოურ კომპანიებს, კერძოდ კი ამერიკულს 60 განეკუთვნება. "რეალური გეგმები არის აგრეთვე გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით მონღოლეთისა და ჩინეთის ტერიტორიების გავლით სამხრეთ კორეაში, რაც რუსეთის ენერგეტიკის წინაშე სრულიად ახალ მიჯნებს შლის", ხაზი გაუსვა ანატოლი შატალოვმა.

## ანატოლი ჩუბაისი: მაკროეკონომიკური სიტუაცია რუსეთში უმჯობესდება

"რეფორმებისათვის საკმაოდ მაღალი ფასის გადახდა გვიხდება სოციალურ სფეროში" — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის განვითარების კომიტეტის სხდომაზე რუსეთის მთავრობის თავმჯდომარემ ანატოლი ჩუბაისმა, — მთავარია, იგი დაბრკოლებად არ იქცეს ეფექტური საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების შექმნის გზაზე. რუსეთში მაკროეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა."

" 90-იანი წლების პირველი ნახევარი სერიოზული სოციალური კრიზისის პერიოდი იყო, — განაგრძო ა. ჩუბაისმა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია კომპლექსური სოციალური სტრატეგიის განხორციელების აუცილებლობა, რომელიც მიმართული იქნება არა მარტო მოსახლეობის შედარებით უფრო შეუძლო ჯგუფების, არამედ ასევე ადრე დაგროვილი ადამიანური კაპიტალის დაცვისაკენ".

მანამდე კი ა. ჩუბაისმა ხაზი გაუსვა, რომ "ახლანდელი პროგნოზების თანახმად, 1996 წელს შესაძლოა უკრაინაშიც განახლდეს ეკონომიკური აღმავლობა".

## ევგენი იასინი: ყველანაირად ვეცდებით არ გავზარდოთ პურის ფასი

"მიუხედავად მარცვლეულის ცუდი მოსავლიანობისა რუსეთში, ყველა ზომა იქნება მიღებული იმისათვის, რომ წინ აღვუდგეთ პურის ფასის გაზრდის შესაძლებლობას" — განაცხადა საპარლამენტო მოსმენაზე გამოსვლისას 1996 წლის ფედერალური ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ. ლაპარაკობდა რა სოფლის მეურნეობაში შექმნილ რთულ მდგომარეობაზე, მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობა "აპირებს კვლავაც მაქსიმალურად შესაძლო სხარდაჭერა აღმოუჩინოს ამ სფეროს".

რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ალექსანდრ ნაზარჩუკმა მოსკოვში ჟურნალისტებთან შეხვედრისას კი თქვა, რომ "ერთი ცალი პურის ფასი რუსეთში შეიძლება გაიზარდოს ხუთი ათას მანეთამდე". მანვე აღნიშნა, რომ სოფლის საქონელმწარმოებელნი მთლიანად რუსეთში მიიღებენ 65-66 მილიონ ტონა მარცვლეულს სუფთა წონით.

ასეთი დაბალი მოსავალი რუსეთს, სხვადასხვა მიზეზების, მათ შორის ძლიერი გვალვის დროსაც კი არ ჰქონია 1965 წლის შემდეგ.

სასურსათო მიზნებზე ქვეყანა ყოველწლიურად იყენებს 24-25 მილიონ ტონა მარცვლეულს. ახლა მიმდინარეობს პურის შესყიდვა რეგიონალურ სასურსათო ფონდებში, ძალიან ნელი ტემპით — ფედერალურ სასურსათო ფონდში, ხაზი გაუსვა ა. ნაზარჩუკმა. ამასთან, განაგრძო მინისტრმა, კომერციული სტრუქტურები, წინ უსწრებენ რა სახელმწიფო სტრუქტურებს, შეისყიდიან მარცვლეულს და შემდეგ მიჰყიდიან სწორედ სახელმწიფო სტრუქტურებს მსოფლიო ფასებში. ყველაფერი ეს, მინისტრის აზრით, გამოიწვევს საცალო ფასების გაზრდას პურზე.

"რუსეთს მოუწევს 25-30 მილიონი ტონა მარცვლის შესყიდვა წლევანდელი დაბალი მოსავლის გამო". — ასეთ პროგნოზს აკეთებს აგრარულ პოლიტიკაში ფედერაციის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე ვიაჩესლავ ზვოლინსკი და აღნიშნავს, რომ წლევანდელი მოსავლის ანგარიშზე რუსეთის მოთხოვნები მარცვალზე მხოლოდ 65-70 პროცენტით იქნება დაკმაყოფილებული".

## ჩეჩნეთში მოქმედი ნავთობის ჭაბურღილების რიცხვი გაიზრდება

გასული წლის ბოლოსათვის ჩეჩნეთში არსებული ნავთობჭაბურღილების რიცხვი 81-მდე გაიზარდა და 1996 წელს მთლიანად 230-ს გადააჭარბებს. ამის თაობაზე იტარ-ტასის კორესპონდენტს შეატყობინეს სამინისტროს პრეს-სამსახურში. კოლეგია ეძღვნებოდა ჩეჩნეთის სათბობენერგეტიკული კომპლექსის საწარმოების აღდგენის საკითხებს.

რესპუბლიკაში ნავთობმოპოვების მოცულობათა გაზრდისა და აღდგენითი სამუშაოების სტაბილური დაფინანსების უზრუნველყოფის საკითხები არის ჩეჩნეთის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის წინაშე მდგომი უმთავრესი საკითხები, ამბობს რუსეთის ფედერაციის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრი იური შაფრანიკი. მისი შეფასებით, სავსებით რეალური ჩანს რესპუბლიკაში ნავთობის მოპოვებამ ორ მილიონ ტონას მიაღწიოს მიმდინარე წელს. გასულ წელს მან შეადგინა 1,2 მილიონი ტონა. დღეს 46 მოქმედ ჭაბურღილზე ყოველ დღეღამეში მოიპოვება 3,5 ათსი ტონა ნავთობი. ნავთობმოპოვების ნამატი, რომლის გადასამუშავებლად რესპუბლიკას მნიშვნელოვანი რეზერვები აქვს, შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ბურღვითი სამუშაოების აღდგენის ხარჯზე, რომელთა მოცულობა მკვეთრად დაეცა წინა წლებში.

მინისტრის აზრით, დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს იმ ორგანიზაციების წინაშე დავალიანების ლიკვიდაციის საკითხი, რომლებმაც უკვე შეასრულეს აღდგენითი სამუშაოები ჩეჩნეთის სათბობენერგეტიკული კომპლექსის საწარმოებში. დღეს სახსრების უქონლობის გამო, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო ამ მიზნით, ანაზღაურებულია სამუშაოს მხოლოდ ნახევარი.

აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო სახსრების მიღების დამატებით წყაროდ უნდა იქცეს ჩეჩნეთში მოპოვებული ნავთობის ექსპორტი. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერელი ბრძანებულებით მთელი მოპოვებული ნავთობი უნდა წავიდეს უპირატესად ექსპორტზე, რათა მიღებული თანხები რესპუბლიკის თბოენერგეტიკის საწარმოებს მოხმარდეს.

## რუსეთში ერთ სამუშაო ადგილზე პრეტენზიას აცხადებს საშუალოდ 5 უმუშევარი

რუსეთის დასაქმების ფედერალური სამსახურის მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში საშუალოდ ერთ თავისუფალ სამუშაო ადგილზე პრეტენზიას აცხადებს 5 უმუშევარი.

და ეს მიუხედავად იმისა, რომ ვაკანსიების რიცხვი, დასაქმების სამსახურის ხელთ არსებული მონაცემებით, გასული წლის დასაწყისიდან 1,5-ჯერ გაიზარდა და წლის ბოლო 640 ათასზე მეტ სამუშაო ადგილს შეადგენს. მაგალითად, ინგუშეთში ერთ თავისუფალ სამუშაო ადგილზე 396 უმუშევარი კაცია. ივანოვოს ოლქში, რომელიც უკვე ტრადიციულად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოიხსენიება, ერთ ვაკანტურ ადგილზე დაახლოებით 80 უმუშევარი მოდის.

ეს საკითხი ასევე მწვავედ დგას კომის რესპუბლიკაში, კორიაკის ავტონომიურ ოკრუგში, ყალმუხეთში, დაღესტანში, ფსკოვის ოლქში.

ამ მხრივ, ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში, სადაც ოფიციალურად რეგისტრირებული უმუშევრობის დონე ანუ უმუშევართა ოდენობის შეფარდება მოსახლეობის ეკონომიურად აქტიურ ოდენობასთან სულ რაღაც 0,4 პროცენტს შეადგენს.

# ინფორმაცია

# მიღებულია გადაწყვეტილება

№ 38, № 39, № 40, № 41 სპეციალიზირებულ და № 11, № 12, № 13, № 14 საბარათო აუქციონებზე გასატან.სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების ნუსხების და ადრე გამოცხადებულ აუქციონებში ცვლილებების დამტკიცების შესახებ ამ საკითხზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება. "მასობრივი პრივატიზაციის პროცესების გეგმაზომიერი განვითარების, საპრივატიზაციო ბარათების სათანადო უზრუნველყოფის მიზნით, მსოფლიო ბანკის მასობრივი პრივატიზაციის პროექტის კონსულტაციების გათვალისწინებით, ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ბ-ნმა ავთანდილ სილაგაძემ გამოსცა ბრძანება. მასში ნათქვამია:

1. მიღებული იქნეს რეკომენდაციები 1996 წლის 1 აპრილიდან სპეციალიზირებული საბარათო აუქციონების უპირატესად საბარათო აუქციონების ჩატარების თაობაზე და სპეციალიზირებული საბარათო აუქციონები 1996 წლის 1 აპრილიდან ჩატარდეს ორ კვირაში ერთხელ, ხოლო განცხადების მიღება № 38 და № 39 სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონებზე განხორციელდეს 3 კვირის განმავლობაში.

2. დამტკიცდეს იმ სააქციო საზოგადოებათა თანდართული ჩამონათვლი, რომელთა აქციების პრივატიზება გათვალისწინებულია № 38, № 39, № 40, № 41 სპეციალიზირებულ საბარათო და № 11, № 12, № 13, № 14 საბარათო აუქციონებზე დადგენილი წესით (დანართი № 1, № 2, № 3, № 4, № 5, № 6, № 7 და № 8).

3. ორგანიზაციული საკითხების დაზუსტების აუცილებლობასთან დაკავშირებით შეტანილი იქნას ცვლილებები № 8 საბარათო და აგრეთვე № 34 და № 37 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონების ნუსხებში:

3.1. სააქციო საზოგადოება "ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა" (№ 36), სააქციო საზოგადოება "სანაპირო-10" (№ 701) და სააქციო საზოგადოება "ქარავანი" (№ 186) ამოღებული იქნან № 8 საბარათო აუქციონის ნუსხიდან;

3.2. სააქციო საზოგადოება "მშენინდუსტრია" (№ 595) ამოღებული იქნეს № 34 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის ნუსხიდან;

3.3. სააქციო საზოგადოება "ტეირთმზიდი" (№ 693) ამოღებული იქნეს № 37 სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონის ნუსხიდან.

4. დაევალოს რესპუბლიკის საბარათო და განაცხადის გადამამუშავებელ სააუქციონო ცენტრს (ე. ჯუღელი):

4.1. არაუგვიანეს 1996 წლის 7 მარტამდე უზრუნველყოს ამ ბრძანებაზე თანდართული ნუსხების და ცვლილებების შესახებ ინფორმაციის რესპუბლიკურ გაზეთში გამოქვეყნება და განცხადების მიმღებ ყველა პუნქტისათვის დროული მიწოდება;

4.2. შეწყდეს აღნიშნულ სააქციო საზოგადოებებზე განაცხადის მიღება და რესპუბლიკის საბარათო და განაცხადების გადამამუშავებელმა სააუქციონო ცენტრმა (ე. ჯუღელი) უზრუნველყოს შესაბამისად შეტანილი საპრივატიზაციო ბარათების (თუ ასეთი არსებობს) დაბრუნება.

4.3. განცხადების მიმღები პუნქტების მეშვეობით უზრუნველყოს მათ ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოებების და ქონების მართვის ტერიტორიალური ორგანოების აუქციონების და ცვლილებების შესახებ ინფორმირება.

4.4. უზრუნველყოს აუქციონების დადგენილ ვადებში ჩატარება არსებული წესების შესაბამისად. ამასთან, ქვემო ქართლის მხარის რწმუნებულის 1996 წლის 31 იანვრის № 25 წერილის შესაბამისად, № 14 საბარათო აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ქ. რუსთავში, სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს ბაზაზე.

## №36 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონი

**განაცხადები მიიღება 1996 წ. 6 მარტიდან 19 მარტის 17 საათამდე.**
**1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში**
**აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.**

| № | ტურ | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | XXIV | 20. "ქუთ. რეზინის ტექნიკური ნაკეთ. ქ-ნა" | 768370 | 350000 | 45.55 | 511695.9 | 480-020 | ქუთაისი, გუგუნავას 13, ტ.66630 | ნ.მჭედლიშვილი | 14 |
| 2 | XX | 22. "გელათი" (ქუთ.სამკერვ. გ-ბა) | 180013 | 59000 | 32.78 | 86257.31 | 480-022 | ქუთაისი, გაპონოვის 11, ტ. 54230 | ნ.ჭყოიძე | 1.79 |
| 3 | XXV | 69. "ჩარხმშენებელი" | 1045485 | 400000 | 38.26 | 584795.3 | 236-069 | თბილისი, თორნიკე ერისთავის 1 | ფ. შუთიძე | |
| 4 | VIII | 114. "კალასი" (საავეჯო დეტალების ქ-ტი) | 360217 | 167000 | 46.36 | 244152 | 238-114 | თბილისი, ჭიჭინაძის შესახ. 1 | გ. თორაძე | |
| 5 | XXIV | 120. "საქართველოს ტრაქტორი" (ქ. მც. გტრ.ქ.) | 3712615 | 1750000 | 47.14 | 2558480 | 480-120 | ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. 19, ტ. 34537 | ზ. თადუმაძე | 17.4 |
| 6 | XI | 142. "ტამი" (რუსთ. ამწემშენებელი ქ-ნა) | 1825125 | 865000 | 47.39 | 1264620 | 390-142 | რუსთავი, დავით გარეჯის 36, ტ. 121051 | ა. სირაძე | 13.84 |
| 7 | XXIV | 169. "ანტურისტი" (ტურისტ. სასტ. "ზვამლი") | 180262 | 80000 | 44.38 | 116959.1 | 480-169 | ქუთაისი, ლესელიძის 1 | ზ. აბჟანდაძე | 4 |
| 8 | XX | 192. "ლეგა" (დედოფლისწყარ. მეფრ. ფ-კა) | 621156 | 295000 | 47.49 | 431286.5 | 170-192 | დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქ. | | 8.0 |
| 9 | XIII | 248. "თელავის ხილიობპროდუქტი" (თელ.კ.შ.ს.) | 74285 | 26000 | 35 | 38011.7 | 250-248 | თელავი, აჩინებული, ტ. 34394 | თ. არჯევანიძე | 8.8 |
| 10 | XIII | 255. "კრისტალი-94" (თბილ. მექანიკური ქ-ნა) | 73580 | 27500 | 37.37 | 40204.68 | 233-255 | თბილისი, სამგორის 3 | მ. შონია | 13 |
| 11 | XXIII | 295. "ლომთაგორი" (მარნ. საფ. საგალანტ. ფ-კა) | 59776 | 21000 | 35.13 | 30701.75 | 320-295 | მარნეული, გორკის 4 | ჯანიაშვილი | 2.1 |
| 12 | XX | 305. "სამშენებლო ტრესტი № 3" (გორის) | 224849 | 80000 | 35.58 | 116959.1 | 150-305 | გორი, შინდისის გზატკ. 4, ტ.24007 | ვ. ყანჩაველი | 10.9 |
| 13 | XXV | 315. "მარსი" (ზესტაფ. შორაპ."ელექტროელ-ს" ქ.) | 554271 | 250000 | 45.1 | 365497.1 | 210-315 | ზესტაფონი, დაბა შორაპანი, ტ. 52543, 52384 | თ.პაკორჩაშვილი | |
| 14 | XXI | 327. "ელექტროთერმოშედუღება" (სამეც.საწ.კ.) | 258854 | 120000 | 46.36 | 175438.6 | 234-327 | რუსთავის გზატკ. 50 | | 3.5 |
| 15 | XXI | 372. "ავტოსატრანსპორტო საწარმო № 10" | 144461 | 68000 | 47.07 | 99415.2 | 236-372 | თემქის დასახლ.№ 8 პურის ქარხანასთან | ნ. ნიაური | |
| 16 | XXI | 375. "ქუთაისის საწ. საკომპლექტაციო ბაზა" | 81360 | 30000 | 36.87 | 43859.65 | 480-375 | ქუთაისი, შევჩენკოს 21 | თ. ყენია | 34.2 |
| 17 | XXI | 377. "საქობო" (სიღნაღი, წნორის მექანიკ. ქ-ნა) | 39579 | 15000 | 37.9 | 21929.82 | 440-377 | სიღნაღი, სოფ. საქობო, ბესიკის 10 | შ. სესიტაშვილი | 0.74 |
| 18 | XXI | 381. "ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხანა" | 173805 | 81000 | 46.6 | 118421.1 | 370-381 | ოზურგეთი, ექვთ. თაყაიშვილის 20, ტ. 64627 | რ. მახარაძე | 3.5 |
| 19 | XIV | 389. "ნავთობბაზა" (გორ.კომერც. შუამავლ.საწ.) | 117450 | 42000 | 35.76 | 61403.51 | 150-389 | გორი, კეცხოველის 168, ტ. 22810 | თ.ბურჯანაძე | |
| 20 | XXV | 399. "ინგირის ჩაის აგროსამრეწ. კომბინატი" | 294796 | 105000 | 35.62 | 153508.8 | 220-399 | ზუგდიდი, სოფ ინგირი | გ. აფაქიძე | 7.56 |
| 21 | XXIV | 412. სავაჭრო ცენტრი "მერკური" (რუსთ.ვაჭ.) | 89445 | 39000 | 43.6 | 57017.54 | 390-412 | რუსთავი, XX მ/რ, ჩერკასის ქ. ტ. 127793, 125360 | ა. ლობჟანიძე | 0.7 |
| | | სულ გვერდზე: | 10879754 | 4870500 | | 7120614 | | | | |

## №37 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონი

**განაცხადები მიიღება 1996 წ. 13 მარტიდან 26 მარტის 17 საათამდე.**
**1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში**
**აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.**

| № | ტურ | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7-9.02. | 160. "ლითონმჭრელი იარაღები" (საინსტრუმ.ქ.) | 435758 | 123479 | 28.34 | 234682.3 | 237-160 | საბურთალოს 32 | თ ხარებავა | 2.1 |
| 2 | XXI | 420. "ფეიქარი" (სამტრედ. ბამბ. სართავი ფ-კა) | 189061 | 67000 | 35.44 | 97953.22 | 410-420 | სამტრედია, კოპალეიშვილის 21 | | |
| 3 | XXI | 421. "თბილ.სამეინკლო-სამონტაჟ.ინსტრ.ქ-ნა) | 237300 | 84000 | 35.4 | 122807 | 230-421 | თბილისი, ხანძთელის 2, ფილ.რატინის 6 | | 2.5 |
| 4 | XXI | 422. "თოლია" (საპწარმოო გ-ბა "თოლია") | 306580 | 108000 | 35.23 | 157894.7 | 233-422 | თბილისი, ჯავახეთის 64 | ბ. ჯიბლაძე | 0.43 |
| 5 | XXV | 450. "თბილ. ხორცი" (თბილ. ხორცგადამამუშ. ქ-ნა) | 783541 | 280000 | 35.74 | 409356.7 | 233-450 | თბილისი, მოსკოვის გამზ.25 | რ.ანთაძე | 3.7 |
ძალიან დიდი მნიშვნელობა ქონდა და აქვს მეაბრეშუმეობას, რასაც საქართველოში ოდითგანვე ეწეოდნენ. ის ადვილად შესათავსებელია გლეხურ მეურნეობასთან. ამ საქმიანობაში ძირითადად დასაქმებული არიან ქალები, ბავშვები და მოხუცები. ომამდე საქართველოში ნედლი პარკის მოსავალი 100-105 ათას ფუთამდე აღწევდა. მისი დიდი ნაწილი გაჰქონდათ მარსელში და მილანში, დანარჩენი კი მიჰქონდათ მოსკოვში. როგორც ვთქვით, ომამდე საქართველოდან გაჰქონდათ დაახლოებით 100 ათასი ფუთი ნედლი, ანუ 32 ათასი ფუთი ხმელი პარკი, რაც შეადგენდა 1,600000-1900,000 მანეთს ოქროთი. აქედან გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის საქართველოში მეაბრეშუმეობის აღორძინებას, მის შემდგომ გაფართოებას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თამბაქო. საქართველოს თამბაქოს ერთი ნაწილი ძველად გაჰქონდათ რუსეთში, ხოლო მეორე ნაწილი ეგვიპტეში, რომელიც მსოფლიო ბაზარს აწვდიდა თამბაქოს საუკეთესო ხარისხს. საქართველოს თამბაქოს მნიშვნელობა ძალიან დიდია. ის ადვილად უწევდა კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე გამოტანილ საბერძნეთის და ბულგარეთის საუკეთესო ხარისხის თამბაქოებს.

ზემოთხსენებულ დოვლათთა დახასიათებით ქართველმა მრეწველებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ როგორი ღირსებით შეუძლია საქართველომ ააწყოს საგარეო ვაჭრობა, გარდა ზემოთხსენებული დოვლათისა, საქართველოში უამრავი სიმდიდრეა, რომელთაც ასევე თამამად შეუძლიათ გახდნენ საგარეო ვაჭრობის საგნები: სამკურნალო მცენარეები, რომლებიც უხვად მოიპოვებიან საქართველოში; კერძოდ, საქართველოს მატყლი, ტყავის ნედლეული, შინამრეწველობის სხვადასხვა ნაწარმი, ხილბოსტნეული, ჩაი, ღვინო, სპირტის ნაწარმი, — ამ ნედლეულის მოსავალი სულ ახლო წარსულშიც დიდად აღემატებოდა მის მოხმარებას.

დოდო ლაზარაშვილი

# პრივატიზების მყარი ნაბიჯები

1996 წლის 5 მარტის მდგომარეობით საქართველოში პრივატიზებულია 6935 ობიექტი, რაც დამტკიცებული 7986-ის 86,8 პროცენტს შეადგენს. მათ შორის ვაჭრობის – 2815, საყოფაცხოვრებო მომსახურების – 2567, მშენებლობის – 171, სოფლის მეურნეობის და კვ.მრეწველობის – 187, მშენებლობის – 187, სოციალური სფეროს – 350, საქენერგოს – 23, საქნავთობპროდუქტების – 163 ობიექტი და ა.შ. აქედან 1996 წლის იანვარ-თებერვალში პრივატიზებულია 230 ობიექტი, ვაჭრობის – 85, საყოფაცხოვრებო მომსახურების – 123, ჯანდაცვის – 6, პურპროდუქტების სისტემის – 122 სოფლის მეურნეობის – 4 ობიექტი.

დაფუძნებულია 865 სააქციო საზოგადოება, მათგან მრეწველობის სისტემაში 133, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სისტემაში – 287, არქიტექტურისა და მშენებლობის სისტემაში – 194, ვაჭრობის– 59, ტრანსპორტის – 89, სოციალური სფეროს – 39, საქნავთობპროდუქტების – 24, პურპროდუქტების – 3, საქგაზის – 11 და ა.შ. აქედან 1996 წლის იანვარ-თებერვალში დაფუძნდა 15 სააქციო საზოგადოება, ამათგან: მრეწველობის – 1 საწარმო, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის – 2, არქიტექტურისა და მშენებლობის – 2, საქნავთობპროდუქტების – 1, პურპროდუქტების – 2, საქგაზის – 8.

1996 წლის 5 მარტის მდგომარეობით დარიგებულია 3.6 მლნ. საპრივატიზებო ბარათი, აქედან უკვე ამოღებულია 167 მლნ. (47,2%).

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა პრივატიზებული საწარმოების ეფექტურობის მაჩვენებელთა ცხრილი, რომელიც დაეგზავნა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს და ხდება ამ ფორმით მიღებული მონაცემების დამუშავება. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 114 პრივატიზებული საწარმოდან, რომლებიც 1993 წელს სახელმწიფო საწარმოებს წარმოადგენდნენ, ხოლო 1994 წელს გარდაიქმნენ სააქციო საზოგადოებებად და 1995 წელს მოხდა მათი აქციების პრივატიზება, შემდეგი მონაცემები ფიქსირდება:

1993 წელს ბიუჯეტში გადარიცხულ იქნა 14869.65 ლარი, 1994 წელს 352063, 6 ლარი, 337193.95 ლარით მეტი.

1995 წელს ბიუჯეტში გადარიცხულ იქნა 829792,5ლარი (1994 წელთან შედარებით 477728,9 ლარით მეტი).

წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1993 წელს შეადგენდა 235876.7 ლარს, 1994 წელს – 2020766.2 ლარს (1784889,5 ლარით მეტი).

1995 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 3489692,2 ლარს (1994 წელთან შედარებით 1468926 ლარით მეტი).

მოგებამ შეადგინა 1993 წელს 51338.1 ლარი, 1994 წელს – 444076,32 ლარი (392738.22 ლარით მეტი).

1995 წელს მოგებამ შეადგინა 642863.9 ლარი (1994 წელთან შედარებით 198787.58 ლარით მეტი).

მომუშავეთა რაოდენობა იყო: 1993 წელს – 7827, 1994 წელს – 6881,5 (945,5-ის ნაკლები).

1995 წელს მომუშავეთა რაოდენობამ შეადგინა – 6028,5 (1994 წელთან შედარებით 853-ით ნაკლები). საშუალო ხელფასის მოცულობამ შეადგინა: 1993 წელს – 0,45 ლარი, 1994 წელს – 7.18 ლარი (6,73 ლარით მეტი).

1995 წელს საშუალო ხელფასის მოცულობამ შეადგინა – 19.98 ლარი (1994 წელთან შედარებით 12,8 ლარით მეტი).

საანალიზოდ აღებული 114 საწარმოდან განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევა ქუთაისის სს "საკონდიტრო ფაბრიკა, ს/ს "ღვინის ქარხანა", ლუდის კომბინატი "აია" გორის ს/ს "ატენი" (ატენის ღვინის ქარხანა), ს/ს "ლითოგრაფია", ხაშურის ს/ს "სურამის ღვინის ქარხანა" ,ს/ს "რექტიფიკატი" (გომის სპირტის ქარხანა), გურჯაანის ს/ს "ჭანდარი" (ჭანდრის ღვინის ქარხანა), სს "ვაჩნაძიანი" (ვაჩნაძიანის ღვინის ქარხანა, ს/ს "კოტეხი" (გურჯაანის ღვინის ქარხანა) აღსანიშნავია რომ ამ უკანასკნელში 1994 წელთან შედარებით 1995 წელს 9 ერთეულით გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა.

# ბანკების საწარმოთა (პოლონეთის

სეელერ ვან ვინბერგენი

## უმცროსი კრედიტორები

უმცროსი კრედიტორების არსებობა სტიმულს ქმნის ლიკვიდაციისათვის. მე-11 განყოფილების თანახმად, რესტრუქტურირება ვერ ხორციელდება, • რადგანაც უმცროსი კრედიტორი ნებისმიერ შემთხვევაში იწყებს საქმეს ლიკვიდაციის შესახებ. წვრილ კრედიტორებს, რომლებიც ხედავენ, რომ რესტრუქტურირების პროცესში მათი ფინანსური მოთხოვნების საბაზრო ღირებულება ნოლამდე ეცემა, უჩნდებათ ძლიერი სტიმული დაიწყონ სალიკვიდაციო პროცესი. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მეტის მოგების იმედი აქვთ, არამედ იმიტომ, რომ, ალბათ, იმედი აქვთ რომ ნაკლებს დაკარგავენ უფროს კრედიტორებთან შედარებით. ამგვარად ლიკვიდაციის მუქარა მნიშვნელოვანწილად ჩნდება უფროსი კრედიტორების შანტაჟის მიზნით მათ მიერ უმცროსი კრედიტორებისაგან ფინანსური ვალდებულებების იმ ფასად ყიდვისათვის, რაც აჭარბებს მათი კრედიტების . საბაზრო ღირებულებას. კოორდინაციის პრობლემები, რომლებიც შესაბამისად წარმოიშობა, ხშირად გასაშვებად გამზადებულ ლიკვიდაციის პროცედურებს აჩერებენ, მაშინაც კი თუ სინამდვილეში ეს არავის არ უნდა, ამგვარად გამოსავლის სქემა უნდა მოიცავდეს კრედიტორთა კონფლიქტების გადაწყვეტის მექანიზმებს, რომ არ მოხდეს ლიკვიდაციის არასაჭირო პროცედურების პროვოცირება.

ამ მუქარის შესანელებლად არსებობს ორი ხერხი, და ორივე ჩართული იყო რეფორმების პოლონურ სქემაში. ჯერ ერთი, მომრიგებლური პროცედურების მთელ ეტაპზე კანონმდებლურად იყო გარანტირებული გაკოტრებისგან მთლიანი დაცვა (არავის არ შეუძლია დაიწყოს საქმე გაკოტრებაზე, სანამ მიმდინარეობს მომრიგებლური პროცედურები). რა თქმა უნდა, ასეთი ღია დაცვა აუცილებელს ხდის დადგინდეს საბოლოო თარიღი, მთელი პროცესის დასრულებისა. კანონის თანახმად, რომელიც განსაზღვრავდა პოლონურ სქემას, მომრიგებლური პროცედურებისათვის დადგენილია ცხრათვის პერიოდი, რომლის შემდეგაც ბანკები, რომლებმაც ვერ შეძლეს წარმატებული მოლაპარაკებების ჩატარება, კარგავენ თავიანთ კრედიტებს იძულებითი გაყიდვის შედეგად.

მეორე, აუცილებელია, რომ მაჟორიტარულ კრედიტორებს შეეძლოთ ყურადღება არ მიაქციონ მინორიტარ კრედიტორთა დამოუკიდებელ ცდებს. ჩვეულებრივად კანონში გაკოტრების შესახებ გათვალისწინებულია პროცედურა, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს შეუძლია თავისი გადაწყვეტილება მოახვიოს თავს გამოყოფილ უმცირესობას. სასამართლო მეთვალყურის გარეშე, იმისათვის, რომ პროცესი როგორმე მაინც დამთავრდეს, აუცილებელია შემუშავდეს ალტერნატიული პროცედურა. პოლონურ პროექტში გამოიყენება გადამჭრელი წესი: ნებისმიერ კრედიტორს ან კრედიტორთა ჯგუფს, რომელიც ფლობს ყველა სავალო-ვალდებულებების 50%-ზე მეტს ღირებულებით გამოსახვაში, შეუძლია თავისი გადაწყვეტილების თავსმოხვევა, გაკოტრების შესახებ. კანონის მიხედვით სასამართლოს შეიძლება მიმართოს მხოლოდ კრედიტორმა ან კრედიტორთა ჯგუფმა, რომელიც ფლობს ღირებულების მიხედვით კომპანიის სავალო ვალდებულებების სულ მცირე 20%-ს. •

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3-4, 1996 წ.)

## მმართველები და მუშები

ბანკების, როგორც ძირითადი არასახელმწიფოებრივი კრედიტორებისა ' და • კომპანიების პოტენციური თანამესაკუთრეების, მნიშვნელოვანი როლი, არ გამორიცხავს საწარმოს სხვა მონაწილეთა — მმართველებისა და ნაკლები დონით, მუშების — როლსაც. რაც შეეხება მუშებს, ნებისმიერი ხელშეკრულება, ალბათ, უნდა მოიცავდეს მუშათა ოპოზიციისაგან გამოსყიდვას მათთვის ახლად შექმნილი კორპორაციის აქციათა მცირე წილის გადაცემით. სწორედ ასე ხდება ყველგან, აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებულ პრობლემებს არ ქმნის იმ პირობით, ა) თუ ეს ნამდვილად მცირე წილია და ბ) აქციები მთლიანად ლიკვიდურია. ლიკვიდურობა მუშებს მისცემს ხანგრძლივვადიანი პერსპექტივის შეგრძნებას, რაც ასოცირდება აქციების ფლობასთან: ისინი პენსიაზეც რომ გავიდნენ, შეეძლებათ პრეტენზია შეინარჩუნონ მოსალოდნელი შემდეგი შემოსავლების ნაწილზე, ამ მოლოდინის კაპიტალიზაციით მათი აქციების ღირებულებაში.

ბანკების დომინირებული მდგომარეობის მიუხედავად, მმართველებს შეუძლიათ სასარგებლო როლი შეასრულონ ამ პროცესებში. მომრიგებელი პროცედურები იწყება ბიზნეს-გეგმის შედგენით ძირითადი ბანკ- კრედიტორის ხელმძღვანელობით. მაგრამ იმას არაფერი დაუდგება წინ, რომ ბანკმა სთხოვოს მმართველს მოამზადოს წინადადება, და იმ დროს, როცა პოლონეთის პროექტის ფარგლებში დროით მკაცრმა შეზღუდვამ შეიძლება აიძულოს ზოგი ბანკები გახდნენ აქციათა პაკეტების მფლობელნი, თუ არც არიან დაინტერესებულნი ხანგრძლივი პერსპექტივით, მათ შეუძლიათ შესაბამისად განიხილონ მმართველთან თავისი პაკეტის გაცვლა ახალ ვალზე. ამგვარად ამ პროგრამის ფარგლებში სავსებით გარკვეულად შეიძლება განხორციელდეს მენეჯერების მიერ საწარმოს გამოსყიდვის სქემა. სინამდვილეში მოცემული პროექტის ნოვატორული ნიშანი არის ის, რომ მენეჯერთა მიერ გამოსყიდვის სქემა შეიძლება ჩაერთოს ღონისძიებათა პაკეტში, რომელიც სხვა ჩვეულებრივ სიტუაციებში მეტისმეტად დიდად ჩაითვლებოდა ასეთი პროექტებისათვის.

## გარეშე მონაწილეები და ახალი კაპიტალის გადასხმა

რა თქმა უნდა, გრაალის თასი რესტრუქტურირების მთელი პროცესისა აღმოსავლეთ ევროპაში აზღვევს კაპიტალის წილებს, რასაც თან ახლავს ინვესტიციების გადასხმა. რეალობა ისეთია, რომ არ ღირს ამის იმედი ვიქონიოთ, განსაკუთრებით წამგებიანი სახელმწიფო საწარმოების მიმართ. მაგრამ ბანკის მეთაურობით ჩატარებული მომრიგებელი პროცედურების სტრუქტურა უნიკალურად ერგება უცხოური ან ამ მიზნის მქონე, ნებისმიერი სხვა საგარეო ინტერესის ინკორპორირებას, თუ ასეთი შეიქმნება.

ბიზნეს-გეგმა, რითაც იწყება ყველა პროცედურა, შეიძლება საფუძვლად ექცეს მომავალი აქციონირების ნებისმიერ ჯგუფს, მნიშვნელობა არა აქვს იმას, წარმოადგენენ თუ არა ისინი საწარმოს მუშაკთა თუ საგარეო მონაწილეთა ინტერესებს: ძირითადი ბანკ-კრედიტორის ძლიერი პოზიცია შესაძლებელს ხდის შეიქმნას პრაქტიკულად ნებისმიერი სასურველი კაპიტალის სტრუქტურა, ამიტომ ეს პროცედურები ქმნიან ძალიან კარგ საფუძველს გარეშე მონაწილეებთან მოსალაპარაკებლად.

## 4. საწარმოები, რომლებიც ისე დიდები არიან, რომ არ შეიძლება არ გაუმართლოთ

ბოლოსდაბოლოს ყველანაირმა მიდგომამ შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ სახელმწიფოს დარჩეს ისეთი საწარმოთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც არავის არ ენდომება, წინანდელი ვალების უქონლობის შემთხვევაშიც კი. თუ ეს ეხება შედარებით არამსხვილ კომპანიათა მცირე რიცხვს, შესაძლებელია პირდაპირი ლიკვიდაციის ან უბრალოდ გაკოტრების პროცედურის გამოყენება. მაგრამ რეალისტური მიდგომა და ხშირად უბრალოდ ადამიანური ხედვა გვკარნახობს, რომ ასეთმა დრამატულმა ქმედებებმა შეიძლება არ იმუშაოს ძალიან დიდ საწარმოებთან ან ღარიბ რეგიონებში ძირითად დამქირავებლებთან მიმართებაში. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია უფრო თანდათანობითი და რბილი მიდგომა გაკოტრების პროცედურისადმი.

სინამდვილეში ასეთი წამგებიანი მხარდაჭერის ერთ-ერთი ხერხი არის თავისებური ანაზღაურება სამუშაო ძალისა. რაკიღა ალტერნატივად რჩება უმუშევრობა, სახელმწიფომ უნდა განიხილოს უკიდურეს შემთხვევაში მუშათა პროდუქტიული დასაქმების ვარიანტი. მაგრამ, სანამ მუშები აწარმოებენ ხარისხზე საკმარის დამატებით ღირებულებას, რაც მეტია მათ გამომუშავებაზე, იმასთან შედარებით, რაც სახელმწიფოს უნდა გადაეხადა მათთვის, მთავრობა გამარჯვებული გამოდის ფინანსური თვალსაზრისით. მოცემული საქმეების საპირისპიროდ აყენებენ ზუსტად ისეთ საწინააღმდეგო აზრებს, როგორსაც მსგავსი იდეების წინააღმდეგ აშშ-ში: სახელმწიფო როცა მუშებს უზრუნველყოფს უპერსპექტივო სამუშაოთი, იგი ვერ ახდენს მათ რეინტეგრირებას ეკონომიკაში, რამაც სინამდვილეში შეიძლება მათ დროთა განმავლობაში ინტეგრირების სურვილიც დაუკარგოს, რაკიღა მათი შემოსავალი დამოკიდებული იქნება "არ წასვლაზე", ე. ი. არსებული დასაქმების ადგილზე მიმაგრებაზე. ეს ანტისტიმული, რა თქმა უნდა ძალიან დიდ როლს ასრულებს, როცა ეხება მთელ რეგიონს, რაც, სამწუხაროდ, მეტად დამახასიათებელია აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისათვის.

დიდი საწარმოების ან რეგიონალურად მადომინირებელი დამქირავებლების გაკოტრებისაგან დაცვა შეიძლება უფრო ეფექტური იყოს ალტერნატიულ ვარიანტთან შედარებით, ოღონდ როგორც დროებითი ღონისძიება შემდეგ, სწორედ კომერციულ ბანკებში არ გამოიყენება ამ. თანდათანობითი მიდგომის განსახორციელებლად. თუ საწარმო საკმარისად დიდია, რომ ეფექტური შანტაჟით დაემუქროს მთავრობას დახურვის საწინააღმდეგოდ, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ კომერციულმა ბანკმა (ან მოცემულ შემთხვევაში თვითონ სახელმწიფო ორგანოებმა) შედეგად დიდ წარმატებას მიაღწიოს. ნაკლებ დასაჯერებელია, რომ იმოქმედოს არსებული სახსრების მოძრაობაზე სახელმწიფოს შანტაჟის წარმატებით გატანამ და ფულის გამორთმევამ, -მაშინ განა დიდი კომპანიები კიდევ ერთხელ არ მიმართავენ იმავე ღონისძიებას როცა ფული დაუმთავრდებათ?

პირველ რიგში, ამ პრობლემის სპეციფიური ხასიათი ითვალისწინებს, რომ ამ "ზელფასიანი საწარმოების" მართვა უნდა გადაეცეს სააგენტოს, რომელსაც კარგად ესმის საბიუჯეტო შეზღუდვები, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა ფინანსთა სამინისტრო. და მეორე — საწარმოს დახურვის დროს ძირითადი მცდელობა მიმართული უნდა იყოს მუშების გადამზადებაზე და მათთვის დახმარებაზე . ალტერნატიული სამუშაო ადგილების მოძებნაში. მომავალში შემცირდეს გაკოტრების პროცედურების ბლოკირების სტიმულები. ასეთი პროგრამების გარეშე (ხელახლა სწავლებასა და ახალი სამუშაო ადგილების მოძებნის) ყოველთვის იარსებებს უნდობლობის საფრთხე ამ დახმარებისადმი, და სავსებით ცხადია, , რომ ვერავითარი ღონისძიებები ველარ იმუშავებს.

. იმ შემთხვევაში კი, თუ დროებითი პრობლემები გადაიჭრება, მაინც [illegible] დარჩება მამოძრავებელი მოტივების საკითხები, ესე იგი ის, თუ როგორ შეიძლება განსახორციელებელი გახდეს მთელი პროგრამა მოცემულ კონკრეტულ წელს. რამდენადაც ხელფასიანი კომპანიები სახელმწიფო ფულს მიიღებენ, არსებობს ძლიერი ცდუნება — მიიღონ ასეთი საწარმოს სტატუსი, რათა თავი აარიდონ მტკივნეულ მოთხოვნებს სხვა კრედიტორთა მხრიდან, ერთ-ერთი მიდგომა გაითვალისწინებდა ასეთი საწარმოების წინასწარი შერჩევის გარკვეული ეტაპის დადგენას, რის შემდეგაც სია საბოლოოდ დაიხურებოდა. ეს მნიშვნელოვნად ახსიათებს გერმანიის მიდგომას რესტრუქტურირების პროცესისადმი.

მაგრამ საზოგადოებისადმ სამსახურის ნაკლებად მდიდარ ტრადიციების მქონე ქვეყნებში (თანაც სახელმწიფო მოხელეთა გაცილებით დაბალი ხელფასებით) აღნიშნული სტიმულებიც აუცილებლად ხელახლა წარმოიშობოდა სახელმწიფოს როლის განხილვის დროს. უმრავლეს ქვეყნებში პოლიტიკური ზეწოლა და კორუპცია, რაც თან ახლავს საწარმოთა შერჩევის პროცესს, ძლიერი არგუმენტებია ისეთ ვარიანტზე კამათისას, რომელშიც სახელმწიფო ნაკლებად აქტიურ როლს შეასრულებდა. ამ შემთხვევაში დანარჩენ კრედიტორებს მოეთხოვებოდათ უფრო მეტი მეცადინეობა რესტრუქტურირებისათვის იმ მიმართულებით, რომლებიც ზემოთ იყო შემოთავაზებული, სახელმწიფო კი შემდეგ მიხედავდა საწარმოებს, რომლებზეც ასეთი მეცადინეობა ვერაფერს გააწყობდა, რაც თავის მხრივ გარდაუვალს გახდიდა იმ საწარმოს ლიკვიდაციის პროცესს, რომელსაც მიეცემოდა ხელფასიანის სტატუსი.

მაგრამ ეს რაოდენობა არ რეგულირდება, საჭიროა პოტენციური ნაკადის შეჩერება ფასის საშუალებით. მხოლოდ იმ პირობით, რომ "ზელფასიანი საწარმოს" სტატუსის მიღება მეტისმეტად მიმზიდველი იქნება, შესაძლო გახდება თავიდან აიცილონ ამ ფონდის ზედმეტი შევსება, და არც სხვა კრედიტორები მოინდომებენ (და არც შეეძლებათ) გარიგების დადებას რესტრუქტურირების ჩატარებამდე, იქაც კი, სადაც ამის შესაძლებლობა იქნება მომრიგებელი ფონდის გარეშეც. საქმე ის არის, რომ თუ უფროსი კრედიტორები აყოვნებენ ახალი ფულის მოზიდვის შესაძლებლობას, უმცროსი კრედიტორები კარგავენ სტიმულს ფინანსური მოთხოვნების შემცირებისათვის, განსაკუთრებით, თუ ახალ

# ...როლი რესტრუქტურირებაში

...მაგალითი)

ფული მიმაგრებულია ფინანსურ საჭიროებაზე, რაც ვალის მომსახურებაში შედის.

გადაწყვეტიება საკმაოდ სწორხაზოვანია: "ხელფასიანი საწარმოს" სტატუსის მიღება (ან გზა მომრიგებელი ფონდისაკენ) უნდა განისაზღვროს ორი პირობით:

1. უმცროსი კრედიტორების მიერ ფინანსურ მოთხოვნებზე უარით.

2. მკაცრი მაკორექტირებელი ზომებით როგორც მუშების, ისე მმართველებისათვის, ისეთით, როგორიცაა იძულებითი დათხოვნა, ხელფასის გაყინვა და უმაღლესი მმართველობის შეცვლა.

პირობა მოიცავს ბანკებისათვის სტიმულს — შექმნან რესტრუქტურირების პაკეტი, რომელსაც საწარმო დაიცავს მომრიგებელ ფონდში მოხვედრისაგან. პირობა ხელს უწყობს მუშებისა და მმართველების მისწრაფებას ითანამშრომლონ წარმატების მისაღწევად ამ ცდაში. თუ რომელიმე ამ პირობათაგანი დაცული არ იქნება მანამ, სანამ ფული გაიცემოდეს, მომრიგებელი ფონდის შექმნა მოსპობს წარმატების მიღწევის ნებისმიერ შანსს რესტრუქტურირების თაობაზე შეთანხმებაში ბანკების ან მმართველების მიერ საკუთრების გამოსყიდვის სქემის მიხედვით. ამ შემთხვევაში შეუძლებელი აღმოჩნდება დაიცვან კონტროლი ბიუჯეტზე და პრივატიზების ჩატარების მიზანიც დაიკარგება.

### 5. ფინანსური სექტორის საჭირო რეფორმები

არსებობს ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა, ზემოთაღნიშნულ წინადადებებთან დაკავშირებით: ეს სქემები ძალიან არიან დამოკიდებულნი კომერციული ბანკების ნორმალურ ფუნქციონირებაზე. აუცილებელია ერთხელ კიდევ ხაზი გაესვას, რომ საბანკო რეგულირების ეფექტური მექანიზმის დანერგვაში სწრაფი და არსებითი პროგრესი აბსოლუტურად არსებითია მთელი სქემის წარმატებისათვის. ქაოსი პოლონეთში ბოლოხანებში შექმნილ კერძო კომერციულ ბანკებს შორის მთელი სიცხადით გვაჩვენებს ამ დრამატულ პრობლემას.

კომერციული ბანკების საიმედო ფუნქციონირება, თავის მხრივ, მოითხოვს უკიდურეს შემთხვევაში, ზემოთ განხილული სამი პირობის არსებობას.

### რეგულირება

ძნელია გონივრული რეგულირების მნიშვნელობის შეფასება. ნებისმიერი სახის ბიზნესისათვის, რაც იმით იწყება, რომ კლიენტს ფულს ართმევენ მანამდე, სანამ რაიმე მომსახურებას გაუწევდნენ. დამახასიათებელია პოტენციური მიდრეკილება ყალთაბანდობისაკენ. მსგავსი პრობლემების სახე შეიძლება მერყეობდეს პირდაპირი ყალთაბანდობიდან (ინსაიდერთა კრედიტი) უკიდურეს რისკამდე, რასაც თავის თავზე ღებულობენ მმართველები, განსაკუთრებით თუ მათი უშუალო რისკი ნაწილობრივ გადაფარულია დეპოზიტის დაზღვევით. ჩილეს გამოცდილება არარეგულირებულ პრივატიზაციაში მთელი სიცხადით გვაჩვენებს, რომ პრივატიზებული საბანკო სისტემის რეგულირების გარეშე გარდაუვალია დიდი კრიზისი. ამგვარად კომერციული ბანკების პრივატიზაცია უნდა ჩატარდეს სიფრთხილით, ან საერთოდ არ ჩატარდეს მანამდე, სანამ არ შეიქმნება რეგულირების ეფექტური მექანიზმები.

რეგულირების ეფექტური მექანიზმების შექმნა ნიშნავს სესხების კლასიფიკაციის და იმ მოხელეთა პორტფელის საერთო შეფასების სისტემის შემოღებას, რომლებიც განახორციელებენ რეგულირებას აუცილებელი გამაფრთხილებელი სიგნალებით. ანგარიშგების ასეთი სისტემა გამაგრებულ უნდა იქნას პერიოდული აუდიტორული დეტალური შემოწმებით ადგილებზე უფრო ყოველმხრივი შეფასების უზრუნველსაყოფად ვიდრე ფორმალური მაჩვენებლების საშუალებით მოხდებოდა. ასეთი აუდიტორული შემოწმებები აგრეთვე აუცილებელია ისეთი თაღლითობის შემთხვევებისაგან დაცვისათვის, როგორიც არის თვითონ მუშაკების ან ბანკების თანამესაკუთრეთა კრედიტირება გონიერების ჩვეულებრივი სტანდარტების უგულებელყოფით. ამ უკანასკნელის საშიშროება ძლიერ დიდია, თუ ბანკებს ფლობენ სამრეწველო ჯგუფები. ამიტომ უმეტეს ქვეყნებში ღიად არის აკრძალული ნებისმიერი სამრეწველო საწარმო იყოს ბანკის თანამეპატრონე.

მეორეც, — უნდა შეიქმნას რეგულირების წესები და ინსტიტუტები და აგრეთვე მოინახოს ადამიანები ამ ორგანიზაციებში სამუშაოდ, რომლებსაც ასწავლიან კიდევაც. ვინც კრებს ინფორმაციას, ასრულებს წესებს, ადგენს კაპიტალის საკმაობის ნორმებს, წესებს საეჭვო პირობებისთვის და ა. შ. უმეტეს შემთხვევაში ამ ამოცანების შესრულება უხდება ცენტრალურ ბანკს, რომელიც უნდა წარმართავდეს საქმეებს ბანკებთან ნებისმიერ შემთხვევაში, რადგანაც ის ახორციელებს ფისკალურ პოლიტიკას ამა თუ იმ ქვეყანაში.

### გონივრული რეგულირების გამოყენება

რეგულირების წესების გამოყენება არ შეიძლება, თუ დაცული არ იქნა შესაბამისობა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ორი პრობლემა. ჯერ ერთი, როგორია მათი შემოღების საშუალო სისწრაფის ფარგლები? მეორე — რამდენადაც როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ბანკები ამჟამად შორს არიან გონივრული წესების ნებისმიერ ნაკრებთან პრაქტიკული შეთანხმებისაგან, რის გაკეთება შეიძლება მოცემულ სიტუაციაში?

### გამოყენების მექანიზმის შექმნის საკითხები

გამოყენების მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემაა — როგორ გავხადოთ ისინი რაც შეიძლება ნაკლებ მგრძნობიარენი პოლიტიკური ჩარევისა და ყალთაბანდური მანიპულაციების პირდაპირი ცდებისადმი.. უმეტეს ქვეყნებში გააზრებული აქვთ, რომ თუ შემოღების მექანიზმს ერთი ინსტიტუტის ხელში დატოვებენ მაშინ ეს ორგანიზაცია მეტად სუსტდება სხვადასხვა სახის ზეწოლისათვის. ეს განსაკუთრებით მართლდება იმ შემთხვევაში, როცა ეს ინსტიტუტი ასევე პასუხს აგებს გონივრული რეგულირების შესრულებისათვის, რადგანაც არსებითად ეს მას აძლევს წესის შემოვლის საშუალებას, გარკვეული ზეწოლის შემთხვევაში. უფრო მეტიც, მეთვალყურე ორგანოები შეიძლება აჰყნენ ცდუნებას რომ საკუთარი ძველი შეცდომები დაუმალონ შემოწმებას იმის იმედით, რომ ბანკის წინანდელი პრობლემების გადახედვა ბანკსაც და მეთვალყურე ხელისუფლებასაც გაანთავისუფლებს გასული წლების ხარვეზებზე პასუხისმგებლობისაგან.

ამიტომ უმეტეს ქვეყნებში შემოღების შესახებ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში უფლებამოსილებას ანიჭებენ საბანკო კომისიებს, რომლებშიც შედიან ფინანსთა მინისტრები, ცენტრალური ბანკის დირექტორი და როგორც წესი, ისინი პასუხს აგებენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებაზე (პრაქტიკულად, უმეტეს შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანის გარდა, სხდომას ესწრებიან მხოლოდ მოადგილეები). მაგალითად, მექსიკაში საბანკო კომისიის ტექნიკური მუშაკები ყოველთვიურად ამოწმებენ ფინანსურ მაჩვენებლებს ყველა ბანკისათვის, თუ გარკვეული მაჩვენებლები გადაჭარბებულია, კომისიამ უნდა მიმართოს სხვადასხვა ზომებს, უფრო სერიოზულ შემთხვევებში კომისია ბანკს კონტროლზე აიყვანს და გადასცემს მას რესტრუქტურირების სააგენტოს გამგებლობაში (რომელსაც შეუძლია, თუმცა ვალდებული არ არის, შეცვალოს ბანკის ხელმძღვანელობა).

საბანკო კომისია ჩვეულებრივ ადგენს სამეთვალყურეო სამუშაოთა პროგრამებს და ღებულობს გადაწყვეტილებას შემოღების მექანიზმის ფარგლებში, ოღონდ ეყრდნობა ცენტრალური ბანკის თანამშრომლებს ტექნიკური სამუშაოს შესრულების მიზნით. ეჭვი არ არის, რომ ასეთი კომისიების მანიპულირება უფრო რთულია ვიდრე ინსტიტუტის, რომელშიც ხელისუფლება ბოლოსდაბოლოს მაინც ერთი კაცის ხელში ექცევა.

### ბანკების რეკაპიტალიზაცია

ბანკების მმართველები ვერ იღებენ პასუხისმგებლობას ბანკის კაპიტალურ ღირებულებაზე, თუ არ არსებობს საწყისი კაპიტალი. ამგვარად საბანკო რეფორმის არსებითი ელემენტია შემოსავლიანი აქტივების საკმაო ოდენობის მქონე ბანკების რეკაპიტალიზაცია, მათი გონივრული კაპიტალის ბაზით უზრუნველსაყოფად, უიმედო ვალების პრობლემების გადაჭრის შემდეგ. რეკაპიტალიზაცია — კრედიტირების განაკვეთსა და სესხების განაკვეთს შორის მაღალი მარჟის შენარჩუნების პერიოდის გახანგრძლივების გზით — არ არის ეფექტური. ეს სესხი საჭიროებს მეტისმეტად დიდ დროს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ფაქტიურად რაღაც ბეგარას ადებს მომუშავე ფირმებს, რის ხარჯზეც ხდება წამგებიანი საწარმოების დანაკარგების ფინანსირება. ამ პროცედურას შეუძლია შეაჩეროს კერძო სექტორის ზრდა მანამდეც კი, სანამ განვითარებას დაიწყებდეს. კაპიტალის ერთჯერადი "გადასხმა" ღია ხელმოწერის საფუძველზე უზრუნველყოფდა საბოლოო ვალდებულებების დაფინანსების უფრო ნაკლებად დამანგრეველ ხერხს.

თუ ბანკების რეკაპიტალიზაცია საწარმოებისა და საბანკო სფეროს რესტრუქტურირების გეგმის ნაწილია, როგორც გვთავაზობენ პოლონეთში, საჭიროა, რომ თავდაპირველად გატარდეს რეკაპიტალიზაცია ბაზაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი დაემყარება კრედიტის პორტფელის ჭეშმარიტი ღირებულების არასრულფასოვან შეფასებას. თუ არა და კომერციული ბანკების ყველა სტიმული თავისი კრედიტების თუნდაც ნაწილის მიღებისათვის დაირღვევა: რეკაპიტალიზაციის დროს, თითოეული ჩამოწერილი დოლარი შეცვლილი იქნება სახელმწიფოს მიერ შემოსავლიანი აქტივით, ამიტომ ბანკებს სავსებით არ ექნებათ სტიმული სცადონ თავიანთი კრედიტების თუნდაც ნაწილის დაბრუნება, ან თუნდაც სანაცვლოდ მიიღონ საკუთრების წილი საწრმოს აქტივებში.

ასეთ რეკაპიტალიზაციას ყოველთვის ეწინააღმდეგებიან ასოცირებული ფისკალური დანახარჯების დაფინანსების მოთხოვნის გამო. ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ასეთი რეკაპიტალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა იმ ვალების აღიარება, რომლებიც წარსულშია აღებული, და ამგვარად, მათზე საჭირო არ არის ბიუჯეტის ასიგნებული (თუმცა რა თქმა უნდა გარდაუვალია დანახარჯები ამ კრედიტების მომსახურებისათვის). ბანკების ბალანსიდან ამ კრედიტების ჩამოწერის საწინააღმდეგო ძირითადი საბუთი, სადამდეც მიგვიყვანდა ჩავარდნა ბანკების საკმაო დონით რეკაპიტალიზაციაში, ის არის, რომ ამას აუცილებელ შედეგად მოჰყვებოდა გაუთვალისწინებელი, თანაც ძალიან არაეფექტური ხერხები სახეზე არსებული ვალების მომსახურებისა. სინამდვილეში უმეტეს შემთხვევაში ბოლომდე არაკაპიტალიზებული ბანკები საბოლოო ანგარიშში ფინანსდებიან ინფლაციური ბეგარის ანგარიშზე, იმისდამიხედვით, თუ როგორ იწყებს ცენტრალური ბანკი ამ ზარალის თავის თავზე აღებას. როცა გაითვალისწინება მთლიანად ყველა ვალი, და მათი მომსახურების დანახარჯები ჩაერთვება ბიუჯეტში, უკიდურეს შემთხვევაში, ამ ხარჯების ფინანსებისთვის შესაძლოა დადგინდეს ეფექტური დაბეგვრის სტრუქტურა.

უფრო საინტერესო საპირისპირო აზრი აქვს ფრიდმანს და სხვებს, რომლებიც ამტკიცებენ, ახალი კაპიტალის "გადასხმა" უნდა ხდებოდეს უფრო ახალ ვიდრე ძველ ბანკებშიო. ისინი სთავაზობენ ძველი ბანკების მოვალეობები გადაეცეთ უიმედო ვალების საბალანსო ღირებულების კომპენსაციისათვის მათი ბალანსებიდან გამოყვანილი, და ახალი კრედიტების გაცემა გამოიყენონ ახალი ბანკების კაპიტალიზაციისათვის. ისინი ამ მოსაზრებას ამაგრებენ იმის მტკიცებით, რომ ძველი ბანკების პრივატიზებაც კი ვერ შეძლებს უზრუნველყოს საკმარისი სტიმულები ბანკის მმართველებისათვის, რათა მათ შეიცვალონ თავიანთი შეხედულებები და მართვის მეთოდები. საბოლოო ჯამში ეს განხილვის საკითხია. ძნელი გასაგებია, თუ რატომ ხდება, რომ შესაბამისი სტიმულები საკმაოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკის სრული რესტრუქტურირებისათვის, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, ეს ყველას ეხება, გარდა არსებული ბანკების მმართველებისა. უეჭველია, რომ მოცემულ შრომაში პროპაგანდირებულ მიდგომას საფუძვლად უდევს საბანკო რეფორმის ჩატარების გამოცდილება მექსიკაში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

### სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გამარჯვების კომბინირებული საკვების ქარხნის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან დროებით ამხანაგობას.

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

მეიჯარე – სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო;

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა – 11200.0 აშშ დოლარი წელიწადში:

მისამართი: გარდაბნის რაიონი, სოფ. გამარჯვება.

საკონკურსო პირობა: საწარმოს პროფილის შენარჩუნება;

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებს და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება;
2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი;
3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

განმცხადებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ "ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ბეს" სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი", ა/ა № 001141776, მფო 521017.

საკონკურსო განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

საკონკურსო კომისიის სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადებების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარმოდგენისას.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გამარჯვების კომბინირებული საკვების ქარხნის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს საწარმოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 20.09.94 წ. № 555-I ს დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" 8.17 პუნქტის თანახმად კონკურსი აღარ გაიმართება და საწარმო იჯარით გამოსყიდვის უფლებით პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ საწარმოს მუშაკებს.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი 307.

**ცნობებისათვის დარეკეთ: 29-27-94, 29-00-06.**

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

## განცხადება

გაზეთ "პრივატიზების მაცნე"-ს 1996 წლის იანვრის (№ 1) ნომერში გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს განცხადება ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს სახაზინო საწარმო "კომინფორმცენტრის" საგამოფენო დარბაზის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ აუქციონის წესით.

აუქციონი ჩატარდა ა/წ 4 მარტს და მასში გაიმარჯვა სამი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირის მიერ შეექმნილმა დროებითმა ამხანაგობამ, რომელსაც იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა აღნიშნული ობიექტი.

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

## განცხადება

გაზეთ "პრივატიზების მაცნე"-ს 1996 წლის იანვრის (№ 1) ნომერში გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება, გაერთიანება "საქწიგნი"-ს საბიბლიოთეკო კოლექტორის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ.

ვინაიდან საბიბლიოთეკო კოლექტორის შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და საკონკურსო ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 14 დღის ვადაში სამინისტროში შემოიტანა განაცხადი ობიექტის იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, ამიტომ კონკურსი აღარ გაიმართა და საბიბლიოთეკო კოლექტორი იჯარით გამოსყიდვის უფლებით პირდაპირი წესით გადაეცა აღნიშნული ობიექტის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

## ჩვენი ლექსიკონი

**ბიზნესის სტრატეგია** – ეს არის წესი, რომლის მიხედვითაც ყალიბდება ფირმის დამოკიდებულება გარემოსთან. იგი განსაზღვრავს რა სახის პროდუქციას და ტექნოლოგიას დაამუშავებს, სად გაასაღებს, ვისთან გაასაღებს თავის პროდუქციას, როგორ, რა ხერხებით აჯობებს თავის კონკურენტებს.

**ბლანკის კრედიტი** – ასეთი კრედიტი მატერიალურად უზრუნველყოფილი არ არის. იგი გაიცემა მხოლოდ კრედიტორისადმი პირადი ნდობის საფუძველზე.

**ბლოკირებული ანგარიში** – ანგარიში ბანკში, რომლის მოხმარება შეზღუდულია სასამართლოს ან მთავრობის გადაწყვეტილებით.

**ბენკდრაფტი** – თამასუქი ბანკის ქიროაქცენტთან.

**ბილი შემოსავალზე** – საბიუჯეტო უფლებებზე არსებული კანონპროექტი, რომელიც ყოველწლიურად განიხილება დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს.

**ბრაკერაჟი** – ოფიციალური საქონელმცოდნის მიერ სასაქონლო წუნის გამოვლინება პროდუქციის შემოწმების დროს.

**ბროკერაჟი** – ბირჟაზე აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა მათი მფლობელების დავალებით. ამ საშუამავლო სამსახურისათვის მიღებული გასამრჯელო წარმოადგენს ბირჟის წევრების ძირითად შემოსავალს.

**"ბუმერანგის ეფექტი"** – საქონლის დამამზადებელ ქვეყანაში იაფფასიანი საქონლის დაბრუნება ასეთივე დაბალი ფასებით.

**გადავადებული საშემოსავლო გადასახადი** – გრძელვადიანი ვალდებულებების ერთ-ერთი მუხლი, რომლის თანახმად ინვესტიციების წახალისების მიზნით მთავრობა ფირმებს აძლევს საგადასახადო შეღავათებ[illegible].

**გადასახადი დამატებით ღირ[illegible] ბულებაზე** – საქონელზე ან მომს[illegible]ურებაზე დაწესებული ირიბი გადას[illegible]ადი, რომელიც მიღებულია ევრო[illegible] ეკონომიკური თანამეგობრობისა [illegible] ზოგიერთ სხვა განვითარებულ ქვეყ[illegible]ნებში.

**გარემომცველი ფაქტორები** – [illegible]ის ფაქტორებია, რომლებიც გავლ[illegible] ახდენენ ფირმის, საწარმოს მარ[illegible]კეტინგული სტრატეგიის წარმატ[illegible] განხორციელებაზე, კომერციულ მიღ[illegible]ევებზე და ამავე დროს გარემომცველ[illegible] ფაქტორები არ ექვემდებარებიან მწარ[illegible]მოებლის კონტროლს.

**გასაღების პროგნოზირება** – მარ[illegible]კეტინგული კვლევის ეტაპი, რომლ[illegible] შედეგების მიხედვით ფირმას, საწარმოს შეუძლია წინასწარ განსაზღვრ[illegible] თუ რა მოცულობის საქონლის რეალიზაციას, მომსახურებას შეძლებს მო[illegible]მავალში მომხმარებელთა გარკვეულ[illegible] ჯგუფისათვის, ცხადია დროის გარ[illegible]კვეულ მონაკვეთში.

**გადასახადის ნარჩენი** – გადას[illegible]ადის ან რაიმე სხვა ვალდებულ[illegible] განსაზღვრული თანხა, რომელიც [illegible] თანადო დაწესებულებაში არ არის შეტანილი წინასწარდადგენილ ვადა[illegible]ში.

**განაწილება** – საქონლისა და მომ[illegible]სახურების მოძრაობასთან მწარმო[illegible]ბელი ორგანიზაციებიდან მიზნობრ[illegible] ბაზრობისაკენ განაწილების არხებ[illegible] გავლასთან დაკავშირებული კომერც[illegible]ული საქმიანობა.

**განსაკუთრებული რეალიზაცი[illegible]** – საქონლის გასაღების ორგანიზაციის ფორმა. ამ დროს პროდუქციის მწარმოებელი გამოიყენებს მხოლოდ ერთ[illegible] საბითუმო ან საცალო ვაჭრობის პარ[illegible]ნიორს ბაზარზე.

## გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**ჰორიზონტალურად:** 4. ათეიზმი. 5. მისიონერობა. 7. ბილბაო. 8. მანაგ[illegible] 13. პუატუ. 14. ზიკო. 15. ოაცით. 16. ოგული. 21. ყუბანი. 23. კარაბადინელები. 24. იბსენი. 26. კლემენტი. 27. გორი. 28. ბატი. 29. ჭანტურია. 35. ნუტრია. 36. პიდრობიოლოგია. 37. მანტია. 38. ადამი. 39. ადლი. 40. ბაია. 41. სეული. 45. ნიკორა. 47. რაიონი. 49. ახმადნაგარი. 50. ნამიაური.

**ვერტიკალურად:** 1.გარსია. 2. სიონიზმი. 3. სინოდი. 5. მალტა. 6. ადანი. 9. აკაცია. 10. ანურია. 11. მიხაილოვგრადი. 12. დიალექტოლოგია. 13. პლანიმე[illegible]ტრია. 17. ინსტრუმენტი. 18. დალი. 19. ზიჩი. 20. აბაი. 22. ურალტაუ. 25. ნანია[illegible] 30. არია. 31. სოიო. 32. ოლია. 33. სამარა. 34. ამგუნი. 42. ნაკრა. 43. გარანტ[illegible] 44. რიონი. 46. რამონა. 48. არაბია.

გაზეთ "პრივატიზების მაცნეს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება დამსახურებული ჟურნალისტის, საყვარელი პიროვნების და კოლეგის, გაზეთ "ცხოვრება და კანონის" მთავარი რედაქტორის

**დური (ალექსანდრე) ლევანის ძე შენგელიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე“ რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0893

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.03.96 წ..

**პრივატიზების მაცნე**
ინდექსი 66630

**რედაქციის მისამართი:**
ილია ჭავჭავაძის გამზირი, 64
ტელ. 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
"სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

**სარედაქციო კოლეგია**